შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

N 15
26/06/2020

15-08-4-202006261608

ზამლეთში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1799 მ.კვ მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული შენობა ნაგებობების განმეორებითი აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით გადასაცემად წლიური საიჯარო ქირის ოდენობის დადგენის შესახებ

ზამლეთში მდებარე უძრავი ქონების იჯარით გასაცემად 3-ჯერ გამოცხადებული იყო ელექტრონული აუქციონი (1. განაცხადის №32074CGZ64618220; აუქციონი №32074, ლოტის №646182; 2. განაცხადის №32074CGZ65494620 ; აუქციონი №32074, ლოტის №654946; 3. განაცხადის №32074CGZ65890120; აუქციონი №32074, ლოტის №658901;), რომელიც არ შედგა.

საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის~ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესის 38-ე მუხლის შესაბამისად შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა შუახევის მუნიციპალიტეტის მერს ზამლეთში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1799 მ.კვ მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული შენობა ნაგებობების (საკადასტრო კოდი 24.01.34.236) განმეორებითი აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით გადასაცემად წლიური საიჯარო ქირის 5635 ლარიდან 2820 ლარამდე დადგენის შესახებ.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარისათვის გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი დავითაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა